

ნოზესტატი (Nosestat)

წამლის ფორმა: პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება მეფუტკრობაში.

შემადგენლობა

100 მლ ხსნარი შეიცავს: იოდი (Iodine) – 4.0 გ, ჭიანჭველმჟავა (Formic Acid) – 5.0 გრ,

დამხმარე ნივთიერებებს: ნატრიუმის იოდიდი (Sodium Iodine) – 8.0გ, გლიცერინი (Glycerin) – 20.0 მლ, წყალი (Purified water) – 61.0მლ, პიტნის ნაყენი (Tincture of peppermint) – 2.0 მლ.

ღია ყავისფერი შეფერილობის ხსნარი, სპეციფიური სუნით, კარგად იხსნება წყალში.



გამოშვების ფორმა

პრეპარატი ნოზესტატი არის ხსნარი ექსტემპორალური შერევისათვის, რომელიც წარმოდგენილია ორი სახის ფლაკონში:

ფლაკონი №1 შეიცავს 100 მლ იოდის ხსნარს;

ფლაკონი №2 – 20 მლ ჭიანჭველმჟავას ხსნარს.

ფლაკონი №1-ის მოცულობა შეადგენს 100 მლ, დამზადებულია მუქი ყავისფერი პოლიეთილენის ტერეფტალატის მასალით, დახურულია თეთრი ფერის პოლიეთილენის თავსახურითა და დამცავი ჩაჩით, ასევე შესაძლოა იყოს მუქი ყავისფერი შუშის, რეზინის საცობითა და ალუმინის ჩაჩით.

ფლაკონი №2-ის მოცულობა შეადგენს 20 მლ, დამზადებულია თეთრი ფერის პოლიეთილენის მასალით, თავდახურულია თეთრი ფერის პოლიეთილენის თავსახურითა და დამცავი ჩაჩით. ორივე ფლაკონი და საზომი შპრიცი მოთავსებულია მუყაოს კოლოფში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: საკვები დანამატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები

პრეპარატი ნოზესტატი წარმოადგენს იოდისა და ჭიანჭველამჟავას კომბინაციას. ამ ორ აქტიურ ნივთიერებას აქვს მკვეთრად გამოხატული ანტისეპტიკური მოქმედება, ავლენს სინერგიზმს (იოდი და ჭიანჭველამჟავა), იგი კარგად გადაიტანება ფუტკრების მიერ და ეფექტურად მოქმედებს *Nosema apis*, *Nosema Ceranae* წინააღმდეგ.

შიგნით მიღებისას პრეპარატის შაქრიან სიროფში გახსნისას ჭიანჭველამჟავა წყლიან არეში დისოცირდება და ამავდროულად გამოთავისუფლდება წყალბადის იონები. ამ იონების მოქმედება განპირობებულია მჟავას უჯრედულ მემბრანაში შეღწევით და მის კომპონენტებთან რეაქციაში შესვლით. ამ მოქმედებით დაზიანებულ მემბრანაზე მჟავის დისოცირებული წყალბადის იონებით ირღვევა *Nosema Apis*, *Nosema Ceranae* სპორები. იოდი ზემოქმედებს ცილების ამინოჯგუფებთან, ახდენს ცილების დენატურირებას და თრგუნავს ზოგიერთ ფერმენტულ სისტემებს, აქედან გამომდინარე აქვს ანტიპროტოზოული მოქმედება (ტრიქომონების, კოქციდიების, ამების, *Nosema apis* და *Nosema Ceranae* საწინააღმდეგ.)

ნოზესტატს არ ახასიათებს უარყოფითი მოქმედება ფუტკრების ოჯახების განვითარებაზე, დედა ფუტკრის კვერცხმდებლობის უნარზე და ფუტკრის ბარტყზე.

გამოყენების ჩვენებები

გამოიყენება გაზაფხულსა და შემოდგომაზე ფუტკრების ნოზემატოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

გამოყენების წესი და დოზები

გამოიყენება თანაკვების სახით (1:1) შაქრის სიროფთან ან თაფლისა და შაქრის ნარევთან ერთად. ფლაკონი №2-ის (20 მლ) შიგთავსი შეურიეთ ფლაკონი №1-ის (100 მლ) შიგთავსს. მიღებული ხსნარის 5 მლ დაუმატეთ 1 ლ შაქრის სიროფს ან 1 კგ თაფლისა და შაქრის ნარევს. მიღებული სამკურნალო სიროფი გამოიყენება 3-ჯერადად 3 დღის ინტერვალით 500-800 მლ დოზით. 1 კვირის შემდეგ გაიმეორეთ იგივე სქემით. თაფლისა და შაქრის სამკურნალო ნარევი გამოიყენება ერთჯერადად 200-300 გრ დოზით. გამეორება შესაძლებელია პირველი დოზის სრულად მიღების შემდეგ 1 კვირაში.

გვერდითი მოვლენები

არ აღინიშნება.

გაფრთხილება

არ გამოიყენება დალიანობის პერიოდში.

უსაფრთხოების წესები

პრეპარატით მუშაობისას აუცილებელია პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ზოგადი წესების დაცვა, რომელიც მიღებულია სამკურნალო საშუალებების გამოყენებისას. ასევე რეკომენდებულია პოლიეთილენის ან ლატექსის ხელთათმანებისა და დამცავი ტანსაცმლის გამოყენება ტანსაცმლისა და კანის შეღებვისა და გაღიზიანების თავიდან აცილების მიზნით.

შენახვის პირობები

ნოზესტატი ინახება დახურული, მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედებისაგან დაცულ ადგილზე, 15 – 30°C ტემპერატურაზე, ჰაერის ტენიანობა 60% ± 5%

ვარგისიანობის ვადა

შენახვის პირობების დაცვის შემთხვევაში ვარგისია გამოშვებიდან 24 თვის განმავლობაში.

მწარმოებელი ქვეყანა: პრიმავეტ- სოფია, ბულგარეთი.